

## *შავი ზღვის სამშვიდობო ქსელი<sup>1</sup>*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და დამოუკიდებელ ექსპერტთა მეექვსე შეხვედრის ანგარიში

**19.01.2010**

### შესავალი

ამა წლის 19 იანვარს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში გაიმართა პროექტის “შავი ზღვის სამშვიდობო ქსელის” ქართული კომპონენტის ფარგლებში მონაწილე ექსპერტთა რიგით მეექვსე შეხვედრა.

პროექტი ხორციელდება ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერითა და კრიზისების მართვის ინიციატივის ორგანიზაციასთან (Crisis Management Initiative) თანამშრომლობით.

შეხვედრაზე ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის ორმა წარმომადგენელმა წარადგინა საკუთარი პრეზენტაციები თემებზე: – **ფსევდოკონფლიქტები და კვაზისამშვიდობო პროცესები კავკასიაში** – (ალექსანდრე რუსეცკი, სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტი) და - **დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების დღევანდელი ეტაპი** – (იულია ხარაშვილი, იძულებით გადაადგილებულ პირ ქალთა ასოციაცია “თანხმობა”).

### **ფსევდოკონფლიქტები და კვაზისამშვიდობო პროცესები კავკასიაში**

(ტალიანინის კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის კრიტიკა, ალტერნატიული ხედვა და ახალი სამშვიდობო პროცესის ჩამოყალიბების ძირითადი ფრაგმენტები)

---

<sup>1</sup> პროექტი დაფინანსებულია ფინეთის მთავრობის მიერ

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკუთარი ხედვა, იმის შესახებ, რომ არსებული ე.წ. სამშვიდობო პროცესები წარმოადგენენ რეალობაში მხოლოდ და მხოლოდ კვაზისამშვიდობო პოლიტიკურ პროცესებს. მათი განვითარების პარადიგმა გვიჩვენებს, რომ ეს პროცესები არ არიან ორიენტირებულნი პოზიტიურ შედეგებზე სტრატეგიული თვალსაზრისით. და ამ შირმის უკან ხდება სხვა და სხვა სახის გარიგებები და ავანტიურები, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს, რეგიონს, საერთაშორისო უსაფრთხოებას. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საქართველოს დიპლომატიური სკოლის და სამეცნიერო – ანალიტიკური ელიტის “დამსახურებაა”.

მომხსენებელმა დეტალურად განიხილა 2008 წლის აგვისტოს ომის წინაპირობები და ხაზი გაუსვა, რომ ეს ომი არ დაწყებულა საქართველოს ტერიტორიაზე და ამ ომის ძირითადი მოტივი და ობიექტი არ იყო მხოლოდ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიები. კონფლიქტის ძირითად ობიექტს წარმოადგენდა ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის ნავთობსადენი. აი ამ ნავთობსადენის აფეთქებით 2008 წლის 5 აგვისტოს დაიწყო ეს ომი. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა იკისრა ქურთთა მუშათა პარტიის ერთ-ერთმა ფრთამ.

მომხსენებლის აზრით, ეს გვაძლევს იმის უფლებას, რომ ტალიავინის კომისიის დასკვნა, რომლის შექმნაშიც დაიხარჯა 1 700 000 ევრო (!!!), ჩათვალოთ როგორც დოკუმენტი, რომელიც არ ისახავს არსებული დაპირისპირების შინაარსის ფუნდამენტურ ანალიზს და არის ნაწილი იმ კვაზისამშვიდობო პროცესისა, რომელიც წლების განმავლობაში უქმნის საერთაშორისო საზოგადოებას პრობლემების მოგვარების მცდელობის ილიუზიას .

ექსპერტმა ასევე წარადგინა სხვა ფაქტები, რომლებიც, მისი აზრით, გვაძლევს უფლებას რომ ტალიავინის კომისიის დასკვნითი დოკუმენტი უარყოფითად შევაფასოთ, ესენია:

1. 2008 წლის აგვისტოს ომი არ დაწყებულა საქართველოში, იგი დაიწყო ნატოს ქვეყნის (!) - თურქეთის ტერიტორიაზე. ანუ რუსეთის ფედერაციამ და მათმა მოკავშირე ტერორისტულმა ორგანიზაციებმა მიიტანეს იერიში ბოჯ-ნავთობსადენზე.
2. ომში გარდა ოფიციალური სახელმწიფოებისა (საქართველოსა და რუსეთის ფედერაციისა) ჩართული იყო რუსეთის ფედერაციის

მოკავშირეების სახით – ტერორისტული ორგანიზაციები, არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები და სეცესიონისტური ეთნოკრატიული რეჟიმების სამხედრო შენაერთები.

3. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა საბოლოო ჯამში საქართველოს ტერიტორიებზე, და სამხედრო დაპირისპირება ძირითადად საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთებს შორის წარმოებდა, ეს ომი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ საქართველო-რუსეთის ომად. ეს დიპლომატიური და პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა .
4. ნატოს ქვეყნების ინტერესებში რა თქმა უნდა არ არის იმ ფაქტის აღიარება, რომ რუსეთმა და მისმა მოკავშირეებმა დარტყმა მიაყენეს ნატოს ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ნავთობსადენს და მოახდინეს ნატოს მოკავშირე ქვეყნის (საქართველოს) ტერიტორიის ოკუპაცია. ნატო აღმოჩნდა უძლური რომ ადეკვატურად ეპასუხა და დაეცვა საქართველო, და საერთაშორისო ენერგეტიკული ობიექტი აგრესიისაგან.
5. რუსეთმა მიაღწია ამ ოპერაციის მეშვეობით ნატოს ქვეყნებს შორის უთანხმოების შეტანას ან გაღმავებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა სამხრეთ კავკასიაში რეგიონის გარე აქტორების მონაწილეობის შეზღუდვისა და რუსეთთან ერთად ამ რეგიონის ორმხრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების სურვილი. ეს აისახა ერდოგანი-მედვედევის მოსკოვის შეხვედრის ერთობლივ განცხადებაში.

აღნიშნული ფაქტების ჩამოთვლის შემდეგ მომხსენებელმა, წარმოადგინა საკუთარი ხედვა იმის შესახებ, თუ როგორი სამშვიდობო პროცესი არის აუცილებელი კრიზისის დაძლევისათვის:

1. საქართველო არსებულ ვითარებაში უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც მხარე, არამედ როგორც პირველ რიგში - რუსეთის ფედერაციისა და ნატოს გეოპოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი. (ამის განცხადება ამ ეტაპზე, არ არის აუცილებელი რომ გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, ეს არის პრეროგატივა ოპოზიციური პარტიების ჯანსაღი ნაწილის და, შესაძლებელია – ზოგიერთი მეგობარი ქვეყნების პრეზიდენტების).

2. გამომდინარე იქედან, რომ რეალური დაპირისპირების ძირითადი მხარეები არიან ნატო და რუსეთი, უნდა შეიქმნას სამშვიდობო მოლაპარაკებების ორმხრივი ადეკვატური ფორმატი “ნატო-რუსეთი”, რომლის ფარგლებშიც მოხდება ერთობლივი გეგმის შემუშავება. მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, როგორც არის ტერიტორიების დეოკუპაცია და ნატო-რუსეთის ერთობლივი დროებითი პოლიციური სამშვიდობო შენაერთების ფორმირება.
3. ამ შენაერთების ძირითადი მიზანი უნდა იყოს დევნილების დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა, შერეული პოლიციური კონტინგენტების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან.

მოხსენების დასრულების შემდეგ შეხვედრაში მონაწილე ექსპერტებს შორის საინტერესო დისკუსია გაიმართა. ექსპერტთა მსჯელობა შეეხო კონფლიქტებთან მიმართებაში ხშირად გამოყენებულ ტერმინოლოგიას, აღინიშნა, რომ უნდა მოხდეს მხარეებს შორის შეთანხმება ერთიან ტერმინებზე. აღინიშნა, რომ უნდა მოხდეს კვლევითი ინსტიტუტებისა და მეცნიერთა მუშაობის გააქტიურება კონფლიქტური რეგიონების კუთხით. საუბარი ასევე შეეხო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში უმცირესობაში დარჩენილ ეთნიკურ ქართველებს, და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს. განხილული იქნა აფხაზეთში ქართველების საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები.

გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც კვლევებს ჩაატარებს: თუ რა წყაროებს იყენებს დიპლომატები, პოლიტიკოსები თუ სამოქალაქო საზოგადოება კონფლიქტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

### **დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების დღევანდელი ეტაპი**

ექსპერტთა შეხვედრის მეორე ნაწილში, მომხსენებელმა ისაუბრა: დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების დღევანდელი ეტაპის შესახებ.

დევნილისთვის მდგრადი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება და რეინტეგრაცია, რაც იდეალურ ვარიანტს

წარმოადგენს, მაგრამ არა ყოველთვის შესაძლებელს, ან იმავე ქვეყნის ტერიტორიაზე ახალ ადგილზე ინტეგრაცია. ამ ორი შესაძლებლობიდან დევნილის არჩევანი უნდა იყოს გაკეთებული, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (informed choice) – ეს უნდა იყოს არა მხოლოდ ოფიციალურად არსებული ინფორმაცია, არამედ დამოუკიდებელი კვლევების შედეგები და შესაძლოა, “go and see” ვიზიტები, ანუ შესაძლო დაბრუნების ადგილების დათვალიერება.

სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ყველა დევნილს აქვს უპირობო დაბრუნების უფლება თავიანთ მიწა-წყალზე. ხელისუფლება ხშირად აცხადებს, რომ დევნილებთან მიმართებაში საბოლოო მიზანს მათი ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნება წარმოადგენს, ასეთი სურვილი აქვთ ასევე დევნილებს, სამწუხაროდ, არსებული პოლიტიკური რეალობის ფონზე, ეს მიზანი გრძელვადიან პერსპექტივაში განიხილება, მანამდე კი საზოგადოებაში ინტეგრაციის გზით მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვაა საჭირო. ეს წარმოადგენს ერთ-ერთ გამომწვევას დევნილებისთვის, რადგან ისინი ხშირად ფიქრობენ, რომ ინტეგრაცია და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ნიშნავს დაბრუნებაზე უარის თქმას. ხშირად გამოითქმება აზრი რომ, თუ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, შედეგად მოიტანს დევნილთა სტატუსის დაკარგვას და სრულ ინტეგრაციას, ეს ყველასთვის არაა სასურველი.

მოხსენების მიხედვით ძირითად პრობლემებს, რომელთა ეფექტურად გადაჭრა საგრძნობლად შეუწყობს ხელს დევნილთა სოციალურ ინტეგრაციას საზოგადოებაში წარმოადგენს:

- საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (დაბინავება/განთავსება)
- ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება და განათლება
- დასაქმება

ყველა ეს კომპონენტი აისახა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცდა 2008 წლის 30 ივლისს, ომამდე ერთი კვირით ადრე.

2008 წლის ომმა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციამ შეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება დევნილთა საკითხის მიმართ. გადაუდებელი დახმარების საჭიროებამ აიძულა საერთაშორისო

საზოგადოება გაეკეთებინა ყველა არსებული რესურსის მობილიზება. 2008 წლის ომით დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული და გადაუდებელ დახმარებასთან ერთად, საქართველოს მთავრობამ იმავდროულად დაიწყო ახალი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება 90 - იანი წლების დეკნისათვის.

მთავრობამ ომით დაზარალებულ მოსახლეობას შესთავაზა მდგრადი საცხოვრებელი, ამ მიზნით ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად დაიწყო ეგრეწოდებული “კოტეჯების” მშენებლობა – მთავარი მოსაზრება იყო ის, რომ ომით დაზარალებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი იქნებოდა კვლავ სოფლად დასახლება – მსგავს პირობებში, მუდმივ საცხოვრებელ ადგილთან ახლო არეალში. დეკნებს ეძლეოდა კოტეჯი/ბინა მთლიანად აღჭურვილი ავეჯით, საყოფაცხოვრებო ტექნიკით (მაცივარი, ტელევიზორი), სამუშაო იარაღებით, საკვებით. დღეისთვის, 40 ახალ დასახლებაში აშენებულია

- 4 379 კოტეჯი
- 1 524 ბინა.

ახალ დასახლებებში განთავსებულია 20 800 დეკნილი, დანარჩენი დეკნილები რჩებიან კომპაქტურ ცენტრებში (დაახლოებით 4 000 ადამიანი) და კერძო სექტორში (დაახლოებით 1,500).

2008 წლის დეკნის შემაღენლობაა:

- 19 381 – ცხინვალის რეგიონიდან / სამხრეთ ოსეთი
- 1 893 – კოდორის ხეობიდან/ზემო აფხაზეთი
- 5 348 – ახალგორის რაიონიდან.

განსახლების დროს, ყოველ ადამიანზე გამოყოფილი იყო 200 ლარის ოდენობით ერთჯერადი ფულადი დახმარება (20 800 პიროვნებაზე), სკოლის ასაკის ბავშვებისთვის უფასო სახელმძღვანელოები და დამატებით 100 ლარი სასკოლო ტანსაცმლისთვის (8 101 ბავშვზე). რადგან სტატუსის მინიჭება დაიწყო დაგვიანებით, გაეროს სააგენტოების მიერ დაწესებულ იქნა დროებითი დახმარება – 25 ლარი დამატებით კვებაზე (მსოფლიო სასურსათო პროგრამა), 70 ლარი – ბავშვებზე ორ წლამდე (გაეროს ბავშვთა ფონდი) და ერთჯერადად – 100 ლარი ტანსაცმელზე (ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის სამამრთველო).

5 577 ოჯახმა მიიღო მიწის ნაკვეთი:

- 860 ჰექტარი – სახნავი მიწა
- 195 ჰექტარი – სახლთან კუთვნილი მიწა
- 1 616 ოჯახმა მიიღო ფინანსური დახმარება 10 000 დოლარის ოდენობით საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

ამის შემდეგ მთავრობამ ჩათვალა, რომ ეგრედწოდებული “ახალი” დევნილების საცხოვრებლების პრობლემა ძირითადად გადაწყვეტილია, ამიტომ 90-იანი წლების დევნილებისთვის სამოქმედო გეგმაშიც ძირითადი აქცენტი გაკეთდა განსახლების/პრივატიზაციის პროგრამებზე.

იგუბთა სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2009 წლის 28 მაისს, რომლის მიხედვითაც არის 232 083 დევნილი:

- კოლექტიურ ცენტრებში – 96 835
- სხვა – 135 248
- თბილისში: 92 004
- სხვა რეგიონებში: 140 079.

აქედან კომპაქტურ ჩასახლებებში ცხოვრობს 96 835 დევნილი, და არაორგანიზებულად (ეგრედწოდებული კერძო სექტორი – ქირით, გირით, ნათესავეებთან) – 135 248.

სამოქმედო გეგმაში შემოთავაზებულია რამოდენიმე ვარიანტი:

პირველ ეტაპზე ხდება დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ფართობის გადაცემა მათ საკუთრებაში. აქ გათვალისწინებულია დევნილთა სურვილი, რათა არ მოხდეს კიდევ ერთი გადასახლება იმ ადგილებიდან, სადაც ამ 16 წლის განმავლობაში უკვე მოხდა გარვეულად დევნილთა ადაპტაცია: ბავშვები სწავლობენ ადგილობრივ სკოლაში, მოზარდებს აქვთ სამუშაო ადგილები, არსებობს ურთიერთობა მეზობლებთან და ა.შ. პროგრამა დაიწყო 2009 წლის იანვრიდან, როდესაც შერეულმა ჯგუფებმა – იუსტიციის და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან დაიწყეს ფართობის აზომვა კომპაქტურ ცენტრებში და დევნილების რეგისტრაციის პროცესი. ამ მომენტისთვის, 294 კომპაქტური ცენტრი გადაცემულია საპრივატიზაციოდ: 6 000-მდე დევნილთა ოჯახს აქვს ხელი მოწერილი კონტრაქტზე, ხოლო სულ ამ ცენტრებში ცხოვრობს 10 000-ზე მეტი დევნილი ოჯახი.

პირველი ეტაპის განხორციელების დროს პროგრამას თავიდან ბევრი ხარვეზი ჰქონდა, რომელიც შემდგომში გასწორდა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევის შედეგად (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საზოგადოებრივი პროგრამების ფონდი).

კომპაქტური ცენტრები	სულ	I. მთავრობის საკუთრებაში				კერძო საკუთრება	ნაწილობრივ კერძო, ნაწილობრივ სამთავრობო
		სულ	გადაეცა დევნილებს	რეაბილიტაციის პროცესში	არ არის ჯერ გადაწყვეტილი		
თბილისი, წყნეთი	735	330	181		149	220	185
<b>რეგიონები</b>							
სამეგრელო, ზემო ზვანეთი, აჭარა	502	270	93		177	162	70
იმერეთი, რაჭა ლეჩხუმი	177	118	10	40	68	41	18
შიდა ქართლი და სამცხე ჯავახეთი	64	33	12	5	16	20	11
ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი	62	46	18		28	6	10
<b>სულ რეგიონებში</b>	<b>805</b>	<b>467</b>	<b>133</b>	<b>45</b>	<b>289</b>	<b>229</b>	<b>109</b>
<b>მთლიანად</b>	<b>1540</b>	<b>797</b>	<b>314</b>	<b>45</b>	<b>424</b>	<b>449</b>	<b>294</b>

ფართობი კომპაქტურ ცენტრებში გადაეცა დევნილებს სიმბოლურ ფასში – 1 ლარად, გაფორმების გადასახადი გადაიხადა მთავრობამ.

ამ პროცესის ძირითადი დაბრკოლებები დაკავშირებულია პირველ რიგში, ფართის სიმცირით – დევნილთა ყველა ოჯახი არ დათანხმდა არსებული ფართის პრივატიზაციაზე, რადგან სამოქმედო გეგმაში არსებობს პრივატიზაციის ალტერნატივები. მეორე მნიშვნელოვანი დაბრკოლება არის დაკავშირებული საკუთრებასთან – არსებული 1540 ცენტრიდან 449 არის კერძო საკუთრებაში, სახელმწიფო შენობებისგან კი ბევრი ადრე იყო სოციალური ფუნქციის მატარებელი და არ ექვემდებარება პრივატიზაციას. ამიტომ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სხვა ალტერნატივებს – ახალი სახლების აშენებას ან ფინანსურ დახმარებას. რეგიონებში განლაგებულ კომპაქტურ ჩასახლებებში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ჩატარებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოების ხარისხს ამოწმებდა სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც გააკეთა პოზიტიური დასკვნა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარალელურად, დაწყებულია დევნილთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მუშაობა, აქ შეიძლება დასახელდეს ნორვეგიის მთავრობის, USAID-ს პროგრამები, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ევროკომისიის მიერ გამოცხადებული სტაბილიზაციის პროგრამების დაფინანსება, თვით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან შეიქმნა იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების ცენტრი, რომელიც იმუშავებს დევნილთა თემების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, პროექტი დაფინანსდა მსოფლიო ბანკის მიერ (Center of IDP Communities Development).

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორი ინფორმაციის გავრცელებასა და მოსახლეობის ინფორმირებულობას. ერთ-ერთი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულია საინფორმაციო სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს ინტერვიუებს, გამოსვლებს, თოქ-შოუებს, ბუკლეტების და პოსტერების გავრცელებას. ამავდროულად, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ზომები არასაკმარისია. ყველა ეს და სხვა დანარჩენი პრობლემები დასმულ იქნა ევროკავშირის – სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის დროს, რომელიც ჩატარდა 2009 წლის ნოემბერში. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა შესთავაზეს რეკომენდაციების პაკეტი, რომელში შეჯამებული იყო სამოქმედო გეგმის პირველი ნახევარი წლის განხორციელების გაკვეთილები.

ბევრი პრობლემა არის დაკავშირებული ნდობის დეფიციტთან – იმისთვის, რომ დევნილებმა დაუჯერონ ოფიციალურ ინფორმაციას, იმისთვის, რომ სამოქმედო გეგმის ყველა ნაბიჯის განხორციელება იყოს უზრუნველყოფილი, აუცილებელია მყარი გარანტიები, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, აგრეთვე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. თუ დევნილები დარწმუნებულნი იქნებიან რომ სამოქმედო გეგმის ყველა ეტაპი იქნება განხორციელებული, მათი ნდობის დონე გაიზრდება და ისინი თვითონ მიიღებენ მონაწილეობას პროგრამის მონიტორინგში და განხორციელებაში.

მომხსენებლის გამოსვლას ექსპერტების მიერ სხვადასხვა მოსაზრების გამოთქმა მოჰყვა. საუბარი შეეხო დევნილთა სოციალურ პრობლემებს (გადასახადების დაფარვა, დასაქმება). ექსპერტებმა ასევე ისაუბრეს იმ დევნილთა ცენტრებზე, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ ოფიციალური სტატუსი. შეხვედრის მონაწილეები ასევე დაინტერესდნენ რა მექანიზმებით ხდება ქვემო ქართლში ჩასახლებული დევნილების ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

